საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭო

ქ. ბათუმი 31 ივლისი, 2019 წელი

გადაწყვეტილება № 05-01/02

სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკით სარგებლობის წესში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის, უნივერისიტეტის წესდების მე-17 მუხლისა და აკადემიური საბჭოს 2019 წლის 31 ივლისის № 04-01/94 დადგენილების საფუძველზე

წარმომადგენლობითმა საბჭომ გადაწყვიტა:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკით სარგებლობის წესში და წესის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. უნივერსიტეტის პერსონალისათვის შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის ან სტუდენტისათვის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, სათანადო პირი ვალდებულია ბიბლიოთეკასთან გაასწოროს ყოველგვარი დავალიანება, რაც დასტურდება ე.წ. „შემოვლის ბარათით". საბოლოო ანგარიშსწორების, დიპლომის ან პირადი საქმის მოთხოვნისას, შესაბამისი სტრუქტურული ერთეული (სასწავლო დეპარტამენტი, ფაკულტეტის ადმინისტრაცია, საფინანსო სამსახური) ვალდებულია ბიბლიოთეკის დავალიანების მქონე პირზე არ გასცეს შესაბამისი დოკუმენტაცია."

2. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

წარმომადგენლობითი საბჭოს
სპიკერი **თ. მეიშვილი**